



ფინანსური და მენეჯერების აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

15 01 2018 წელი

ვგზ. №1

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ (პროგრამის კოდი 05 02) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 11/36

2018 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	4
შესავალი	7
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	9
ძირითადი ტექსტი	12
1. „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა	12
1.1. შრომის ანაზღაურება	12
1.2. საქონელი და მომსახურება	15
1.2.1. მივლინება ქვეყნის გარეთ	16
1.2.2. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	18
1.2.3. საკონსულტაციო მომსახურება	20
1.2.4. სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი	20
2. „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა	22
2.1. ხიდების რეაბილიტაცია	23
2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	26
2.3. კეთილმოწყობის ღონისძიებები	30
2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	32
3. შიდა აუდიტი	35
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	37
4.1. პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	37
4.2. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	38
4.2.1. მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	38
4.2.2. მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	38
4.2.3. შენობა-ნაგებობები	39
4.2.4. დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	39
5. ბორჯომის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა	40
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	42
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	42

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ (პროგრამის კოდი 05 02) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ❖ მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის რეკომენდაცია და არ მიიღო პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. გაცემული პრემიების რაოდენობა და ჯერადობა აღემატება რეკომენდებულ ზღვრულ ნორმას. მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული საბიუჯეტო თანხების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის ვალდებულება.
- ❖ მუნიციპალიტეტში ყოველთვიური დანამატი დაწესებული იყო წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში. აუდიტის ობიექტს არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა მთელი წლის განმავლობაში, რომელი საჯარო მოხელე იმუშავებდა ზეგანაკვეთურად და ექნებოდა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა. აქედან გამომდინარე, არ არის დასაბუთებული დანამატის გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა.
- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე ანაზღაურებულია უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საკრებულოს მხოლოდ არათანამდებობის პირებზე. შედეგად მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურება ეწინააღმდეგება ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ❖ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებული პირების მიერ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარების პროცესი გაუმართავია. ზოგიერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებელი მუნიციპალური საჭიროებიდან იყო გამოწვეული მოსამსახურეთა მივლინება. შედეგად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებული პირების ვიზიტი რამდენიმე შემთხვევაში არ შეესაბამება მუნიციპალიტეტის მიერ დასახულ მიზნებს და მასზე გაწეული ხარჯი არ არის მიზნობრივი.
- ❖ ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ამდენად, გამგეობის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეულია არაგონივრული ხარჯი.

- ❖ ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა ერთ შემთხვევაში გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება. შედეგად ინფრასტრუქტურული პროექტი მოსახლეობას მიეწოდება ხარვეზებით.
- ❖ დაგეგმვაში არსებულმა სისუსტეებმა ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო გონივრულ ვადაში ინფრასტრუქტურული პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მიზნის მიღწევის შესაძლებლობა რისკის მატარებელია. შედეგად, პროექტის მოწყობაზე გაწეული ხარჯი არ იყო ეფექტიანი.
- ❖ მუნიციპალიტეტმა რამდენიმე შემთხვევაში არ შეისწავლა შესრულებულ სამუშაოზე არსებული ხარვეზების გამომწვევი რეალური მიზეზები: სამუშაოების არასათანადო დაგეგმვა, უხარისხოდ შესრულება ან/და არასწორი მოვლა-პატრონობა. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტის ხარვეზზე არასათანადო რეაგირების გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული შედეგი.
- ❖ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება და ფუნქციონირება, რადგან არ გაითვალისწინა საჭირო ფინანსური რესურსი. შედეგად მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს და პროექტებზე გაწეული ხარჯი არ არის ეფექტიანი.
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წესი მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეთა წახალისების ფორმების შესახებ. მიღებული წესით, უნდა დარეგულირდეს, მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების და დასაბუთების საფუძველზე, წახალისების გაცემის ოდენობა და მიზანშეწონილობა. აღნიშნულის მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია №2. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, ხოლო საკრებულოს თანამდებობის პირებზე არ დაუშვას უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების

ანაზღაურება. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საკრებულოს თანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების კანონიერების საკითხი, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. ასევე მივლინებულ პირს უნდა ევალებოდეს ანგარიშის წარმოდგენა მივლინების შედეგების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, მიღწეული მიზნებისა და შედეგების შეფასების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებს შორის გაზიარებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაზე არამიზნობრივად გაწეული ხარჯების საკითხი და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია №5: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელება გამგეობის თანამშრომელთა ვალდებულებაა. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას საჭიროა მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და დააწესოს შესაბამისი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. ამასთანავე, შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა დაუყონებლივ მიმართოს მიმწოდებელს, რათა საგარანტიო ვადაში გამოასწოროს უხარისხობით გამოწვეული დაზიანებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს

ხარვეზების გამოვლენაზე პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და დანერგოს ქონების მოვლა-პატრონობის წესი, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონტროლის პროცედურები, მოვლა-პატრონობასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, ასევე პასუხისმგებელი პირები. დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინფორმირებულობა ობიექტის დაზიანებასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიზნით, ორგანიზაციამ რეგულარულად უნდა განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი. დაზიანებული ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დროულად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოვლენის შემთხვევაში, ვალდებულია საგარანტიო ვადაში მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშში ასახულ ხარვეზებზე მუნიციპალიტეტმა დაადგინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია №8: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა დაგეგმოს ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს პროექტებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები და გონივრულ პერიოდში რკინა-კონსტრუქციას მოუძებნოს ფუნქციური დატვირთვა.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო პროექტები. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა, მოიძიოს დამატებითი ფინანსური სახსრები, გონივრულ ვადებში დაასრულოს დაწყებული ობიექტების მშენებლობა და განსაზღვროს მათი გამოყენების მიმართულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

რეკომენდაცია №10: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება. შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

შესავალი

აუდიტის საგანი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ (პროგრამის კოდი 05 02) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“,

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 25 284.8 ათასი ლარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810; 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები¹

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი ;
- „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება;
- „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება;
- „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ბორჯომის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 38 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის, 1 ქალაქს, 3 დაბასა და 34 სოფელს². ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფართობია 1189 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 32.6 ათასს კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ბორჯომი. მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის⁴, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო

¹ 2015-2016 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

² <http://mreg.reestri.gov.ge/>

³ <http://borjomi.org.ge/>

კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გადასახდელები განისაზღვრა 34 416.6 ათასი ლარით. აქედან, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 16%, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 48%, ხოლო „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 9% შეადგინა. აღნიშნულ პროგრამებზე ჯამში დახარჯულია 25 284.8 ათასი ლარი⁴.

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა⁵.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა გასწია 5 500.4 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, 2015 წელს - 2 640.4 ათასი, ხოლო 2016 წელს - 2 860 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ №1-ში.

ცხრილი №1. 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

	2015 წელი	2016 წელი	ჯამი
ხარჯები	2432.1	2732.1	5164.2
<i>შრომის ანაზღაურება</i>	<i>1557.8</i>	<i>1827.8</i>	<i>3385.6</i>
<i>საქონელი და მომსახურება</i>	<i>802.3</i>	<i>836.8</i>	<i>1639.1</i>
<i>პროცენტი</i>	<i>43.3</i>	<i>30.2</i>	<i>73.5</i>
<i>სოციალური უზრუნველყოფა</i>	<i>5.1</i>	<i>19.1</i>	<i>24.2</i>
<i>სხვა ხარჯები</i>	<i>23.6</i>	<i>18.2</i>	<i>41.8</i>
არაფინანსური აქტივების ზრდა	101.0	33.0	134.0
ვალდებულებების კლება	107.3	94.9	202.2
გადასახდელები	2640.4	2860.0	5500.4

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 16 670.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს 6 919.5 ათასი, ხოლო

⁴ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა - 5 500.4 ათასი ლარი, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა - 16 670.7 ათასი ლარი და „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამა - 3 113.7 ათასი ლარი

⁵ აღსანიშნავია, რომ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა არ მოიცავს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე გაწეულ ხარჯებს, რომელმაც 2015-2016 წლებში 196.2 ათასი ლარი შეადგინა. ეს ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა“ (პრ. კოდი 0202). შედეგად, აუდიტის მასშტაბში არ შედის.

2016 წელს - 9 751.2 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი №2. 2015-2016 წლებში 03 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

	2015 წელი	2016 წელი	ჯამი
ხარჯები	2 179.0	3 326.0	5 505.0
<i>საქონელი და მომსახურება</i>	<i>732.7</i>	<i>537.3</i>	<i>1 270.0</i>
<i>სუბსიდიები</i>	<i>1 203.7</i>	<i>1 711.9</i>	<i>2 915.6</i>
<i>სხვა ხარჯები</i>	<i>242.6</i>	<i>1 076.8</i>	<i>1 319.4</i>
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 662.1	6 417.1	11 079.2
ვალდებულებების კლება	78.4	8.1	86.5
გადასახდელები	6 919.5	9 751.2	16 670.7

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია შემდეგი ქვეპროგრამები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 5 364.6 ათასი ლარი.
- ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 7 133.9 ათასი ლარი.
- ✓ მუნიციპალტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2 402.7 ათასი ლარი.
- ✓ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 935.6 ათასი ლარი.
- ✓ ტრანსპორტის სუბსიდირება - 833.9 ათასი ლარი.

„კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამა

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 3 113.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს - 1 664.7 ათასი და 2016 წელს - 1 449 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში 2 774.7 ათასი ლარი დაიხარჯა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე:

- ✓ ა(ა)იპ - მუსიკალური სკოლების გაერთიანება - 405.4 ათასი ლარი;
- ✓ ა(ა)იპ - საბიბლიოთეკო გაერთიანება - 416.4 ათასი ლარი;
- ✓ ა(ა)იპ - ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 719.1 ათასი ლარი;
- ✓ ა(ა)იპ - თოჯინების სახელმწიფო თეატრი - 209.2 ათასი ლარი;
- ✓ ა(ა)იპ - ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი - 1 024.6 ათასი ლარი.

დანარჩენი 339.0 ათასი ლარით დაფინანსებულია ეროვნული და ადგილობრივი დღესასწაულების მოწყობა (313.1 ათასი ლარი) და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (25.9 ათასი ლარი).

ძირითადი ტექსტი

1. „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა

ზოგადი მიმოხილვა: „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები. იგი მოიცავს ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებას, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი. აგრეთვე, სამივლინებო, ოფისის, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის და მათი მოვლა-შენახვის ხარჯებს და სხვ.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 5 500.4 ათასი ლარი.

1.1. შრომის ანაზღაურება

2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პროგრამით, მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 3 385.5 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია გაიცა 776.2 ათასი ლარი, ხოლო დანამატი - 55.8 ათასი ლარი.

ცხრილი №3: ბორჯომის მუნიციპალიტეტის შრომის ანაზღაურება

	2015	2016	სულ
თანამდებობრივი სარგო	1 139.4	1 414.1	2 553.5
პრემია	400.1	376.1	776.2
დანამატი	18.3	37.5	55.8
სულ	1 557.8	1 827.7	3 385.5

პრემია

კრიტერიუმი: „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების საფუძველზე, პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაბუთების საფუძველზე. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. პრემია შესაძლებელია გაიცეს, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის მიღება, აღნიშნული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა სამართლებრივი აქტი პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ სარეკომენდაციო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო თანხების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტს უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოთხოვნებით, რაც არ შეასრულა.

2015 წელს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და მოსამსახურეებზე, ჯამში 112 თანამშრომელზე წახალისება გაიცა 418.4 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია - 400.1 ათასი ლარი, ხოლო დანამატი - 18.3 ათასი ლარი. მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულია, რომ მოსამსახურეზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს, ამასთან პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა საქართველოს მთავრობის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა არც პრემიების ჯერადობისა და რაოდენობის მხრივ. კერძოდ:

- 2015 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 69 მოსამსახურეზე წლის განმავლობაში პრემია გაიცა 5-ჯერ და მეტჯერ, მათ შორის, 10 მოსამსახურეზე⁶, წლის განმავლობაში პრემია გაიცა 7 - ჯერ.
- მუნიციპალიტეტის 4 მოსამსახურეზე, რომელთაც პრემია აღებული აქვთ წლის განმავლობაში 7-ჯერ, აგრეთვე გაიცა დანამატი ყოველთვიურად, თითოეულზე 250 ლარიდან 530 ლარამდე ოდენობით.
- 2015 წლის დეკემბერში 79 მოსამსახურეზე გაცემული წახალისება მერყეობს თანამდებობრივი სარგოს 120%-დან 200 %-მდე.

2016 წელს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და მოსამსახურეებზე, ჯამში 113 თანამშრომელზე პრემია გაიცა 376.1 ათასი ლარი, ხოლო დანამატი 37.5 ათასი ლარი. 2016 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 3 თანამდებობის პირზე⁷, პრემია გაიცა წლის განმავლობაში 4-ჯერ, ხოლო დანამატი ყოველთვიურად.

ცხრილი №4: 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე გაცემული წახალისება

№	თანამდებობა	2015 წელი			2016 წელი		
		თანამდებობრივი სარგო	სულ წახალი სება	წახალისება/ თანამდებობრივი სარგო - %	თანამდებობრივი სარგო	სულ წახალი სება	წახალისება/ თანამდებობრივი სარგო - %
1	გამგებელი	31 800	27 030	85 %	31 169	21 788	70 %
2	გამგებლის პირველი მოადგილე	20 124	15 275	76 %	24 836	10 462	42 %
3	გამგებლის მოადგილე ⁸	19 767	13 536	68 %	0	0	0
4	სამსახურის უფროსი ⁹	15 130	11 652	77 %	18 600	8 822	47 %

⁶ მათ შორის, 6 თანამდებობის პირი - გამგებელი, გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, სამსახურის უფროსები.

⁷ გამგებელი, გამგებლის მოადგილე, სამსახურის უფროსი.

⁸ 2016 წელს განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

⁹ იურიდიული კონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე გაცემული წახალისების პროცენტული მაჩვენებელი თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში, 2015 წელს მერყეობს 68 %-დან 85 %-მდე, ხოლო 2016 წელს - 42 %-დან 70 %-მდე.

2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტს არ განუსაზღვრავს მოსამსახურეთა წახალისების გაცემის წესი. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულებებისათვის პრემიის გაცემის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილება სარეკომენდაციო ხასიათისაა თვითმმართველი ერთეულებისათვის, საჯარო ფინანსების მართვის ერთიანი მიდგომიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს წახალისების გაცემის დროს უნდა გაეთვალისწინებინა კანონმდებლობით რეკომენდებული ზღვრული ნორმები, რაც არ განახორციელა.

დანამატი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი მოსამსახურეზე დანამატს გასცემს, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატის გაცემისას, მუნიციპალიტეტმა ყოველ ჯერზე სათანადოდ უნდა დაასაბუთოს მისი გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის¹⁰ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილების სახით გამოცემის უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტში გააჩნია მხოლოდ საკრებულოს, რომელიც არის კოლექტიური ორგანო და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შეუძლია საკრებულოს განკარგულების, ხოლო მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, ბრძანების სახით. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით¹¹, ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, მოსამსახურეებზე დანამატის სახით გაცემულია 55.8 ათასი ლარი. შესწავლილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ყოველთვიური დანამატი დაწესებული იყო წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში. ბრძანებაში დანამატის გაცემის საფუძვლად მითითებულია მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა. ყოველთვიური დანამატი დაუწესდა გამგებელს, გამგებლის მოადგილეებს, სამსახურის უფროსს და განყოფილების უფროსს. აუდიტის ობიექტს არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა მთელი წლის განმავლობაში, რომელი საჯარო მოხელე იმუშავებდა ზეგანაკვეთურად და

¹⁰ მუხლი 61, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

¹¹ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2.

ექნებოდა თუ არა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა. აქედან გამომდინარე, არ არის დასაბუთებული დანამატის გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დანამატების გაცემის საფუძველს წარმოადგენს გამგებლის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი - ბრძანებები¹². გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებები ადგენს დანამატის გაცემის დროებით და მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგებელმა გამოსცა ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის უფლება არ გააჩნდა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით.

საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის დანამატი უნდა გაიცეს, შესასრულებელი დავალებების სირთულის მიხედვით. მუნიციპალიტეტმა დანამატის გაცემისას სათანადოდ ვერ დაასაბუთა მისი გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა. ამდენად, სამართლებრივი აქტები, რომლის საფუძველზეც 2015-2016 წლებში გაიცა 55.8 ათასი ლარის დანამატი, თავისი შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წესი მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეთა წახალისების ფორმების შესახებ. მიღებული წესით უნდა დარეგულირდეს მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების და დასაბუთების საფუძველზე, წახალისების გაცემის ოდენობა და მიზანშეწონილობა. აღნიშნულის მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

1.2. საქონელი და მომსახურება

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით ძირითადად ფინანსდება მხარჯავი დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები და მიმართულია ამა თუ იმ სახის მოთხოვნილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

¹² გამგებლის ბრძანებები: 1. №2-1018, 03.10.2014. 2. №2-1043, 08.10.2014. 3. №02-90, 25.01.2016. 4. №02 - 526, 21.04.2016; 5. №02 - 1784, 24.10.2016. 6. №02 - 2677, 20.12.2016.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 1 639.1 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, მოსამსახურეთა სამივლინებო ხარჯები, კავშირგაბმულობისა და კომუნალური ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწვავის ხარჯი, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები და სხვ.

1.2.1. მივლინება ქვეყნის გარეთ

მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოსამსახურე შესაძლებელია გააგზავნოს მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ, იქ არსებული პრაქტიკის გასაცნობად. მივლინების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ პირმა მივლინებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ანგარიშის სახით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტში და გაუზიაროს თანამშრომლებს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, შესრულებული სამუშაოებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. საბოლოოდ, თანამშრომლებმა მივლინების შედეგებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენონ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და მისი მიზნების მიღწევის პროცესში.

2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, 20 შემთხვევაში დახარჯა 64.5 ათასი ლარი¹³. მივლინებული პირების მიერ არ არის მომზადებული ანგარიში მივლინების მიმდინარეობის, შედეგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, მივლინებაში მყოფმა პირებმა მიიღეს თუ არა რაიმე ცოდნა ან გამოცდილება, ხოლო მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემთხვევაში გაუზიარეს ან გადასცეს თუ არა თანამშრომლებს.

წარმოდგენილი მივლინების დოკუმენტების შესწავლით, აგრეთვე გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. კერძოდ:

- 2015 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა, დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის, ლატვიასა და იტალიაში მივლინებაზე დახარჯა 5.0 ათასი ლარი. მათ შორის, ლატვიის მივლინებისთვის ანაზღაურდა 1.9 ათასი ლარი, ხოლო იტალიის მივლინებისთვის - 3.1 ათასი ლარი¹⁴. 2015 წელს გამგებლის წარმომადგენელი მიწვეულ იქნა ლატვიაში, მთის კურორტ სიგულდაში. გამგებლის წარმომადგენელმა მოხსენებითი ბარათით¹⁵, დამატებით მოითხოვა იტალიის კურორტ ლოზანოში მივლინება. მივლინების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამთო-საკურორტო ინფრასტრუქტურის

¹³ 2015 წელი - 41.4 ათასი ლარი, 2016 წელი - 23.1 ათასი ლარი.

¹⁴ 2015 წლის 12 ნოემბრის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, აღნიშნული პირი ლატვიის საციგაო სპორტის ფედერაციის მიწვევით მივლინებულ იქნა ქ. რიგაში 2015 წლის 21 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო გამოცდილების მიღების მიზნით, მივლინებულ იქნა იტალიაში - 25 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით.

¹⁵ გამგებლის წარმომადგენლის 2015 წლის 10 ნოემბრის მოხსენებითი ბარათი მუნიციპალიტეტის გამგებელს.

გაცნობა, ზამთრის სახეობათა ოლიმპიური თამაშების, მათი სპეციფიკისა და გამოცდილების გაზიარება. აღნიშნულის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოსცა ბრძანება მოხელის ლატვიაში 4 დღით და იტალიაში 9 დღით მივლინების შესახებ. მივლინებული პირი, მისივე განმარტებით, ლატვიის კურორტ სიგულდაში ვიზიტისას შეხვდა ლატვიის საციგაო სპორტის ფედერაციის წარმომადგენლებს. განმარტების თანახმად, იტალიაში ვიზიტისას ის სამ-სამი დღე-ღამე იმყოფებოდა ქალაქებში - მილანში, ფლორენციასა და რომში, ასევე მილანიდან ერთი დღით გადასული იყო ლოზანოში. აღსანიშნავია, რომ გამგებლის წარმომადგენელს ოფიციალური შეხვედრები იტალიაში არ გაუმართავს. მივლინების მიზანი - ლოზანოში ვიზიტი, სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის გაცნობა და მიღებული გამოცდილების გაზიარება, ვერ იქნა მიღწეული, ვინაიდან მივლინებული პირი ლოზანოში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი დღით, ხოლო დანარჩენი დღეები გაატარა იტალიის სხვადასხვა ქალაქებში. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ იტალიის მივლინებისათვის ანაზღაურებული თანხა, 3.1 ათასი ლარი წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს.

- 2015 წელს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე და სამსახურის უფროსი¹⁶, სულ 3 პირი მივლინებული იქნა ლატვიაში 8 დღით. აღნიშნულ მივლინებაში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 8.0 ათასი ლარი. მოწვევა იყო ქალაქ მადონადან, სადაც იმართებოდა ფესტივალი 4 ივნისიდან 11 ივნისამდე. გამგებლის ბრძანებით, ქალაქის ფესტივალის ღონისძიებაზე დასასწრებად პირები მივლინებული იქნენ მადონაში 4 ივნისიდან 8 ივნისამდე, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ტურისტული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით - ქალაქ რიგაში, 8 ივნისიდან 11 ივნისამდე. მივლინებული პირებისათვის რიგაში სასტუმროს მომსახურებისათვის ანაზღაურებულ იქნა 1.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ქალაქ რიგაში გასამართი ღონისძიებების შესახებ მოწვევაში არ იყო მითითებული. გამგეობამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, ჰქონდათ თუ არა მივლინებულ პირებს რიგაში ოფიციალური შეხვედრები და აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ტურისტული თანამშრომლობით რა შედეგი მიიღო მუნიციპალიტეტმა.

- 2015 წელს საკრებულოს თავმჯდომარე 20 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით მივლინებული იქნა ლიტვაში, ქალაქ კაუნასში, კულტურის ეროვნული ცენტრის მიწვევის საფუძველზე¹⁷. მივლინებულ პირს მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა სასტუმროს მომსახურებით, ქალაქ კაუნასში. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ 2 დღე-ღამის განმავლობაში სასტუმროს მომსახურებით ისარგებლა ქალაქ ვილნიუსში. მუნიციპალიტეტმა მივლინებულ პირს აუნაზღაურა ვილნიუსში სასტუმროს მომსახურების ღირებულება 0.5 ათასი ლარი, რადგან მიმწვევი მხარე ითვალისწინებდა მხოლოდ კაუნასში სასტუმროს ღირებულების ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მივლინებული პირის ქალაქ კაუნასის ნაცვლად, ქალაქ ვილნიუსის სასტუმროს მომსახურებით სარგებლობა.

2015-2016 წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებული პირების მიერ არ არის მომზადებული ანგარიში მივლინების მიმდინარეობის, შედეგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შესაბამისად, არ ხდება მივლინებით მიღწეული შედეგების განხილვა და

¹⁶ იურიდიული კონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

¹⁷ სულ მივლინებულ პირს აუნაზღაურდა 2.3 ათასი ლარი.

შედარება დასახულ მიზნებთან. ბორჯომის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარებას.

მუნიციპალიტეტმა 3 შემთხვევაში ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებელი მუნიციპალური საჭიროებიდან იყო გამოწვეული მოსამსახურეთა მივლინება. შედეგად მივლინებული პირების ვიზიტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ შეესაბამებოდა მუნიციპალიტეტის მიერ დასახულ მიზნებს. ამდენად, გამგეობის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურეთა მივლინებებში, რომელზეც დაიხარჯა 64.5 ათასი ლარი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარების პროცესი გაუმართავია. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ 3 შემთხვევაში ანაზღაურებული სამივლინებო თანხა, ჯამში 5.4 ათასი ლარი, წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს მივლინების მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და ინტერესებს. ასევე მივლინებულ პირს უნდა ევალებოდეს ანგარიშის წარმოდგენა მივლინების შედეგების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, მიღწეული მიზნებისა და შედეგების შეფასების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანამშრომლებს შორის გაზიარებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაზე არამიზნობრივად გაწეული ხარჯების საკითხი და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

1.2.2. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა ექვემდებარება ანაზღაურებას¹⁸ და მათზე თანხები გაიცემა „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. მოქმედი კანონმდებლობა საკრებულოს თანამდებობის პირებზე სხვა სახის ხარჯების ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.

საკრებულოს არათანამდებობრივ წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი,

¹⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები¹⁹.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილებით მიიღო საკრებულოს წევრებზე (თანამდებობის და არათანამდებობის პირები) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი²⁰. აღნიშნული წესის მიხედვით, 2015 წლის 7 თვეში საკრებულოს თანამდებობის პირებზე: საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეები - გაცემულია უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ჯამში 33.3 ათასი ლარი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად²¹, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საკრებულოს არათანამდებობის პირებზე. შედეგად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება ეწინააღმდეგება ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები საკრებულოს თანამდებობის პირებზე ანაზღაურებულია კანონმდებლობის დარღვევით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით 2015-2016 წლებში გაცემული თანხა სულ შეადგენს 108.9 ათას ლარს²². მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ არც ერთ შემთხვევაში მათ არ წარმოუდგენიათ ხარჯის გაწვევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული წესი ეწინააღმდეგება ორგანული კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნული წესის საფუძველზე, 2015 წელს საკრებულოს თანამდებობის პირებზე 33.3 ათასი ლარი გაცემულია კანონმდებლობის დარღვევით. 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, თანხით 108.9 ათასი ლარი, არ უნდა გაცემულიყო შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

რეკომენდაცია №2: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, ხოლო საკრებულოს თანამდებობის პირებზე არ დაუშვას უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

²⁰ აღნიშნულ წესში ცვლილება შევიდა 2015 წლის 21 აგვისტოს, რითაც განისაზღვრა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება მხოლოდ საკრებულოს არათანამდებობის პირებზე

²¹ საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 41-ე მუხლი.

²² 2015 წელი - 60.2 ათასი ლარი, 2016 წელი - 48.7 ათასი ლარი.

უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საკრებულოს თანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების კანონიერების საკითხი, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

1.2.3. საკონსულტაციო მომსახურება

2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტი შპს „დაუ“-გან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ახორციელებდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვას, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „დაუ“-ს ევალებოდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების, ბიუჯეტების პროექტების შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, ანგარიშგების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების თაობაზე ახალი ნორმატიული აქტების, მათში შეტანილი ცვლილებებისა და სხვა მასალების მიწოდება. გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ კონსულტაციის მომზადება და მიწოდება.

საკანონმდებლო სიახლეები ხელმისაწვდომია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გააჩნდეთ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და შეძლონ მათი საქმიანობაში გამოყენება. 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და იურიდიულ განყოფილებაში სულ დასაქმებულია 14 მოსამსახურე, რომელთა შრომის ანაზღაურებამ 409.2 ათასი ლარი შეადგინა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა განეხორციელებინათ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გადახდილი 9.6 ათასი ლარი წარმოადგენს არაგონივრულ ხარჯს.

რეკომენდაცია №5: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელება გამგეობის თანამშრომელთა ვალდებულებაა. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

1.2.4. სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა

დადგენილება²³, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

გამოვლენილი გარემოება: საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 2015-2016 წლებში რეკომენდებული იყო 6 ავტომანქანა. 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 13 ერთეული ავტომანქანით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

კრიტერიუმი 2: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის²⁴ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილების სახით გამოცემის უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტში გააჩნია მხოლოდ საკრებულოს, რომელიც არის კოლექტიური ორგანო და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შეუძლია საკრებულოს განკარგულების, ხოლო მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, ბრძანების სახით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით²⁵, ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საწვავის ხარჯმა შეადგინა 224.3 ათასი ლარი²⁶. 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო საავტომობილო საწვავის გამოყოფის საფუძველია გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები. აღნიშნული ბრძანებები მოქმედი კანონმდებლობით²⁷

²³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

²⁴ მუხლი 61, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

²⁵ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2.

²⁶ 2015 წელი - 104.2 ათასი ლარი, 2016 წელი - 120.1 ათასი ლარი.

²⁷ საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

წარმოადგენს თანამდებობის პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანებები ადგენენ საწვავის ლიმიტის გაცემის მუდმივ და მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის უფლება არ გააჩნდა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით.

რეკომენდაცია №4: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

2. „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობად განსაზღვრულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ, პროგრამის შესაბამისად დაიგეგმა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ხიდების რეაბილიტაცია, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, დასასვენებელი პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, დასუფთავების ღონისძიებები, ნაგვის კონტეინერების შესყიდვა და სხვ. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამა ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას.

ცხრილი №5. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამის სტრუქტურა (ათასი ლარი)

პროგრამის კოდი	დასახელება	2015 წელი	2016 წელი	სულ
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 919,5	9 751,2	16 670,7
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2 321,9	3 042,7	5 364,6
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 888,5	4 245,4	7 133,9

03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	992,8	1 409,9	2 402,7
03 05	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	347,5	588,1	935,6
03 06	ტრანსპორტის სუბსიდირება	368,8	465,1	833,9

2.1. ხიდების რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამუშაოების დაგეგმვა და სათანადო კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა. საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის გადახდილ ფასთან შესაბამისობა. პროექტის შესრულებაზე დანერგილმა კონტროლის პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სამუშაოების ჩაბარება. მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების აუცილებელ პირობას, ხელშეკრულების პირობების დაცვაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა განაპირობებს. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულია საგარანტიო პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში უხარისხობით გამოწვეული დაზიანებების გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმწოდებელს მოსთხოვოს ხარვეზების გამოსწორება.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 11 ნოემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება²⁸ გაუფორმა შპს „პემს“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩიდან კოსტავას მოედანზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის (ე.წ. „სილამაზის ხიდი“) რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ხიდის ლითონის კონსტრუქციის კოროზიისგან გაწმენდა და შეღებვა, სავალ ნაწილზე ასფალტის დაგება და ტროტუარზე არსებული ლითონის ფურცლების შეცვლა პოლიმერული მასალით. სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2016 წლის 9 თებერვალს, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 110.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს. აღნიშნულ პერიოდში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმართოს მიმწოდებელს უხარისხობით გამოწვეული დაზიანებების გამოსწორების თაობაზე. სატენდერო დოკუმენტაცია და ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ხარისხის ექსპერტიზას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა პროექტის მიღება-ჩაბარება განხორციელა ისე, რომ დადასტურებული არ იყო შეესაბამებოდა თუ არა შესრულებული სამუშაოების ხარისხი სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ ხიდის ექსპლოატაციაში შესვლიდან მოკლე დროში, 2016 წლის მაისში, გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ: ხიდის ასფალტობეტონის საფარზე წარმოიშვა პროგრესირებადი ბზარები, ფეხით სავალ ნაწილზე დაზიანდა

²⁸ ხელშეკრულება №438

პოლიმერული ფილები და კოროზია გაუჩნდა შედებილ ლითონის კონსტრუქციებს. გამგეობამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 3-ჯერ წერილობით მიმართა შემსრულებელს²⁹. მიმწოდებლის განცხადებით, დაზიანება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. კერძოდ: ხიდზე სამშენებლო ტექნიკისა და თვითმცლელების ინტენსიურმა მოძრაობამ განაპირობა ხის კოჭების დაზიანება და მათი დეფორმირება, რის გამოც მიმწოდებელმა არ გამოასწორა დაზიანებები. აღნიშნულ საკითხზე, 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის აპრილამდე, მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის მიმდინარეობდა სასამართლო დავა. მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა მტკიცებულება შესრულებული სამუშაოების უხარისხობის შესახებ, რის გამოც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი.

2017 წლის ივნისში ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენის მიზნით, შეისყიდა ექსპერტიზის მომსახურება. ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ხიდზე ასფალტობეტონის ზედაპირს გააჩნია ბზარები, რაც გამოწვეულია ლითონის „დეფორმაციული ნაკერის“ მოწყობის სამუშაოების არასწორად და უხარისხოდ შესრულებით. „დეფორმაციული ნაკერები“ მთლიანად მოსახსნელია, ხოლო ასფალტო-ბეტონის საფარი - აღსადგენი. ასევე ფეხით სავალი ნაწილის საფარის დრეკადობა, 3-ჯერ ნაკლებია ნორმატივით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე. მისი შეცვლა საჭიროა უფრო დრეკადი, ნაკლებად ხისტი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე ფილებით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ გამოვლენილი დაზიანებების მიზეზს წარმოადგენდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. აღნიშნულის შესახებ მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი იყო 2017 წლის ივნისში, მიუხედავად ამისა, არ მიუმართავს მიმწოდებლისათვის გარანტიის ფარგლებში გამოესწორებინა ექსპერტიზით დადასტურებული ხარვეზები.

2017 წლის აგვისტოში აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ არსებული ხარვეზები არ არის გამოსწორებული. ასფალტის საფარი დაზიანებულია, ლითონის კონსტრუქციებზე აღინიშნება კოროზია, ხოლო ფეხით სავალ ნაწილზე ალაგ-ალაგ აყრილია ფილები.

²⁹ წერილები: 13.05.2016. №02/3651; 01.07.2016. №02/5131; 03.08.2016. №02/6027

სურათი №1: ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სილამაზის ხიდის“ რეაბილიტაცია



აუდიტის მიმდინარეობისას, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო მხოლოდ ფეხით სავალ ნაწილზე დაზიანებული ფილების შეცვლა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული სხვა ხარვეზები აუდიტის მიმდინარეობისას გამოსწორებული არ იყო. გამომდინარე იქედან, რომ სამუშაოების დაზიანების მიზეზს წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოების უხარისხობა, მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაუყონებლივ მოეთხოვა მიმწოდებლისთვის ხარვეზების გამოსწორება. ამასთან უნდა მოეთხოვა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მათ შორის საექსპერტო მომსახურების ღირებულება. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ღონისძიებები არ გაატარა.

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები ვერ დაგეგმეს ყველა საჭირო კონტროლის მექანიზმის გათვალისწინებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ინფრასტრუქტურული პროექტის შესაბამისობა სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. დაგეგმვასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული პროექტის ჩაბარება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ხიდის რეაბილიტაციაზე დახარჯა 110.4 ათასი ლარი, ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

რეკომენდაცია №6: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას საჭიროა მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და დააწესოს შესაბამისი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების

შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. ამასთანავე, შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა დაუყონებლივ მიმართოს მიმწოდებელს, რათა საგარანტიო ვადაში გამოასწოროს უხარისხობით გამოწვეული დაზიანებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს ხარვეზების გამოვლენაზე პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა გარკვეულწილად დამოკიდებულია მის სწორ ექსპლოატაციაზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს განხორციელებული პროექტების მოვლა-პატრონობა, ექსპლოატაციის პირობების შემოწმება და კონტროლი. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულია საგარანტიო პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში უხარისხობით გამოწვეული დაზიანებების გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმწოდებელს მოსთხოვოს ხარვეზების გამოსწორება.

სოფელ ზანავეში წყალსადენის სისტემის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტით შეისყიდა სოფელ ზანავეში წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები. სოფელში ფუნქციონირებდა ძველი წყლის სისტემა, სადაც მოწყობილი იყო სათავე ნაგებობა, წყლისშემკრები ავზი და აღნიშნული სისტემის მეშვეობით მოსახლეობას მიეწოდებოდა წყალი. არსებული წყლის რესურსი არ იყო საკმარისი სოფლის მოსახლეობისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ახალი სათავე ნაგებობის მოწყობა და მისი დაერთება ძველ წყლისშემკრებ ავზთან. სამუშაოები დასრულდა 2016 წლის 5 დეკემბერს, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 92.1 ათასი ლარი³⁰.

2017 წლის 29 აგვისტოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მოწყობილი ახალი სისტემა არ ფუნქციონირებდა. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ახალ სისტემაში წყალი დაბინძურებულია და სასმელად უვარგისია.

³⁰ ხელშეკრულება №173.

სურათი №2. სოფელ ზანავში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა



2017 წლის მაისიდან სოფელ ზანავში მოწყობილი წყლის სისტემა მოვლა/პატრონობისთვის გადაეცა ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალს“. მუნიციპალიტეტმა სასმელი წყლის ვარგისიანობის დასადგენად 2017 წლის 30 ივლისს ჩაატარა ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნით ირკვევა, რომ წყალი, რომლითაც ივსება სათავე ნაგებობა, ვარგისია სასმელად. მიუხედავად ამისა, სათავე ნაგებობიდან წყალშემკრებ ავზს დაბინძურებული წყალი მიეწოდება. ა(ა)იპ-ის დირექტორის განმარტებით, წყლის დაბინძურების მიზეზს წარმოადგენდა დაზიანებული მილები და არასათანადოდ მოწყობილი სათავე-ნაგებობა³¹. ა(ა)იპ-ის მიერ 14 სხვადასხვა მონაკვეთზე შეკეთდა დაზიანებული მილები, გაიწმინდა და დაიქლორა სათავე ნაგებობა. მისივე განმარტებით, პროექტით სარგებლობისათვის ჩატარებული სამუშაოები არ არის საკმარისი, რადგან არასწორად მოწყობის გამო, სათავე-ნაგებობას სისტემატურად ესაჭიროება გაწმენდა და დაქლორვა. პრობლემის მოსაგვარებლად ის საჭიროდ თვლის სათავე ნაგებობაზე დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით, განსხვავებულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლის მოსაზრება. მისი განმარტებით, სათავე ნაგებობაში წყლის დაბინძურება ხდება წვიმების გამო.

³¹ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სათავე ნაგებობაზე მოწყობილი დამცლელი არასაკმარისია.

პროექტზე არსებული ხარვეზების გამომწვევ რეალურ მიზეზებს, შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაოების არასათანადო დაგეგმვა, უხარისხოდ შესრულება ან/და არასწორი მოვლა-პატრონობა. წყლის სისტემის გამოუყენებლობის მიზეზებთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიცია აქვთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. თვითმმართველ ერთეულს არ შეუსწავლია წყლის დაბინძურების გამომწვევი რეალური მიზეზი და პრობლემის მოსაგვარებლად არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა არსებულ ხარვეზზე არასათანადო რეაგირებების გამო, ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის წყალმომარაგებისათვის დაიხარჯა 92.1 ათასი ლარი, წყლის სისტემა გამოუყენებელია და მოსახლეობა შესრულებული სამუშაოებით ვერ სარგებლობს.

სოფელ ვარდგინეთში წყლის სისტემის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ვარდგინეთში მოაწყო წყლის მილი, ღირებულებით 7.6 ათასი ლარი³². აღნიშნული მილი უნდა დაერთებოდა კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მაგისტრალს. შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა კერძო კომპანიისგან ოფიციალური ნებართვა დაერთების შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოების დასრულების შემდეგ, კერძო კომპანიამ საკუთარ მაგისტრალზე მუნიციპალიტეტს არ დააერთებინა მოწყობილი წყლის სისტემა. შედეგად, შესრულებული სამუშაოები 2015 წელს გამოუყენებელი იყო და მოსახლეობა ვერ სარგებლობდა.

2016 წელს მუნიციპალიტეტმა წყლის რესურსის გაზრდის მიზნით, კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მაგისტრალზე, დაგეგმა სათავე ნაგებობის მოწყობა. პროექტი დასრულდა 2017 წლის იანვარში და შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 6.9 ათასი ლარი³³.

2017 წლის 29 აგვისტოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ წყალგაყვანილობის სისტემა არ ფუნქციონირებს და მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წყლის სისტემა ექპლოატაციაში არ შესულა, რადგან მოწყობილი მილი მოკლე მონაკვეთზე დაზიანებული აღმოჩნდა³⁴. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული პრობლემის შესახებ ცნობილი იყო, პრობლემის გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ხარვეზები გამოიწვია მუნიციპალიტეტში დაგეგმვისა და მოვლა-პატრონობის ეტაპზე არსებულმა კონტროლის სისუსტეებმა. მუნიციპალიტეტმა სამუშაოები დაგეგმა არასათანადოდ. კერძოდ, არ ჰქონდა ოფიციალური ნებართვა კერძო კომპანიის მაგისტრალის გამოყენების თაობაზე. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა აღმოჩენილ დაზიანებებზე დროული რეაგირება არ მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ 2015-2016 წლებში

³² ხელშეკრულება №337

³³ ხელშეკრულება №320

³⁴ მილის დაზიანება გამოიწვია ნალექიან ამინდში მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებამ.

წყლის სისტემის მოწყობაზე დაიხარჯა 14.5 ათასი ლარი, პროექტი გამოუყენებელია და მოსახლეობა შესრულებული სამუშაოებით ვერ სარგებლობს.

ქალაქის სიმბოლიკის სარეაბილიტაციო სამუშაოები

გამოვლენილი გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა ბორჯომის შესასვლელში ქალაქის სიმბოლიკის რეაბილიტაციის სამუშაოების³⁵ შესყიდვაზე ხელშეკრულება გაუფორმა შპს „მშენებელს“. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 11.9 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ქალაქის სიმბოლიკის რეაბილიტაცია, ასევე სიმბოლიკასთან არსებულ წყაროს კეთილმოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთების სამუშაოები.

2017 წლის 23 ოქტომბერს, აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია. კერძოდ, წყაროს წყალი გადმოედინება მოპირკეთებულ ფილებზე, ხოლო მოპირკეთებული ფილების გვერდულები დაზიანებულია.

სურათი №3: „სტელას“ რეაბილიტაცია



ხელშეკრულების პირობების თანახმად, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 3 წელს. აღნიშნულ პერიოდში მიმწოდებელს ეკისრება ვალდებულება შეტყობინებისთანავე გამოასწოროს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წელს მოპირკეთებული ფილების გვერდულები დაზიანდა, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გარანტიის ფარგლებში გამოასწორებინა აღნიშნული ხარვეზები, 2017 წელს მოპირკეთებული ფილების გვერდულები ისევ დაზიანდა. გამგეობას საგარანტიო ვალდებულებების შესრულების მიზნით, მიმწოდებლისთვის აღარ მიუმართავს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გამოეყენებინა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული გარანტიის მექანიზმი და მოეთხოვა მიმწოდებლისთვის დაზიანებების

³⁵ ხელშეკრულება №151.

გამოსწორება, რაც არ განუხორციელებია. შედეგად, დღეის მდგომარეობით ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და დანერგოს ქონების მოვლა-პატრონობის წესი, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონტროლის პროცედურები, მოვლა-პატრონობასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, ასევე პასუხისმგებელი პირები. დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინფორმირებულობა ობიექტის დაზიანებასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიზნით, ორგანიზაციამ რეგულარულად უნდა განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი. დაზიანებული ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დროულად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოვლენის შემთხვევაში, ვალდებულია საგარანტიო ვადაში მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშში ასახულ ხარვეზებზე მუნიციპალიტეტმა დაადგინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2.3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

2015 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქალაქში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 549.3 ათასი ლარი³⁶. ხელშეკრულების ფარგლებში სკვერში ორ სხვადასხვა ადგილზე მოეწყო ლითონის კონსტრუქცია, რომელზეც პროექტის მიხედვით უნდა გაშენებულიყო მცენარეთა ხეივანი. რკინის კონსტრუქციის მოწყობაზე დაიხარჯა 26.0 ათასი ლარი.

2017 წლის 23 ოქტომბერს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკვერში მოწყობილია რკინა-კონსტრუქცია და მიმდებარე ტერიტორიაზე დარგულია ყვავილები, თუმცა მას არ აქვს პროექტით განსაზღვრული მცენარეთა ხეივნის სახე.

³⁶ ხელშეკრულება №192

სურათი №4: სკვერის მოწყობა



პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2015 წლის ოქტომბერში მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო ყინვაგამძლე მცენარეები, კერძოდ: „სურო“, „გლიცინია“, მხვიარა ვარდი და „ტეკომა“. აღნიშნული ყვავილებით დაიგეგმა რკინა-კონსტრუქციაზე გამწვანების გაშენება.

ცხრილი №6: ინფორმაცია ყვავილებით ხეივნის მოწყობის საშუალო პერიოდის შესახებ

დარღული ყვავილების დასახელება		ყვავილის ზრდადობა წლის განმავლობაში	რკინა კონსტრუქციის სიმაღლე	რკინა კონსტრუქციის სიგანე	ხეივნის მოსაწყობად საჭირო საშუალო პერიოდი
I მონაკვეთი	„გლიცინია“	0.5 მ - 1 მ	2.8 მ	4-6 მ	8 წ
	მხვიარა ვარდი	0.5 მ - 1 მ	2.8 მ	4-6 მ	8 წ
	„ტეკომა“	0.4 მ - 0.8 მ	2.8 მ	4-6 მ	10 წ
II მონაკვეთი	„სურო“	0.4 მ	6.7 მ ³⁷	4.9 მ	29 წ

წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების თანახმად, ყვავილების ზრდადობისა და რკინა-კონსტრუქციის ზომებზე დაყრდნობით, ყვავილების ხეივნის მოსაწყობად, დაახლოებით, საჭიროა რამდენიმე ათეული წელი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ სკვერში რკინის კონსტრუქციის მოწყობის სამუშაოები უფუნქციოა და დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება.

საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა ვერ დაგეგმა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც გონივრულ ვადაში ექნებოდა ფუნქციური დატვირთა და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტული მიზნებისათვის. ამდენად, დაგეგმვაში არსებულმა სისუსტეებმა ვერ

³⁷ მოზაიკის კედლის ჩათვლით

უზრუნველყო გონივრულ ვადაში პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მიზნის მიღწევის შესაძლებლობა რისკის მატარებელია. შესაბამისად, 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ რკინა-კონსტრუქციის მოწყობაზე დახარჯული 26.0 ათასი ლარი წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.

რეკომენდაცია №8: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა დაგეგმოს ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს პროექტებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები და გონივრულ პერიოდში რკინა-კონსტრუქციას მოუძებნოს ფუნქციური დატვირთვა.

2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

კრიტერიუმი: 2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხორციელდებოდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც მიმართული იყო სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. მუნიციპალიტეტმა შეზღუდული რესურსების პირობებში მნიშვნელოვანია დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას და თვითმმართველი ერთეულის გრძელვადიანი განვითარების პირობებს შექმნის. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროების მოგვარება და ამ მიზნით დაგეგმილი პროექტების დასრულება.

სოფელ ჭიხარულაში სპორტული დარბაზის მშენებლობა

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განახორციელა სოფელ ჭიხარულაში სპორტული დარბაზის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 12.4 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო შენობის სახურავი და ფანჯრები, ამოშენდა კედელი. 2017 წლის 30 აგვისტოს გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ პროექტი დაუსრულებელია და სპორტული დარბაზი არ ფუნქციონირებს. პროექტის დასასრულებლად საჭიროა იატაკის, ქერის, შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელება, ასევე სპორტული დარბაზის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული პროექტების დასასრულებლად მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო, მისი შესყიდვა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ იგეგმებოდა მომდევნო წელს. მათივე განმარტებით, პროექტი ვერ დასრულდა, რადგან 2017 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ პროექტების

დაფინანსება შეწყდა, ხოლო მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტით პროექტების მოწყობა არ დაუგეგმავს.

სურათი №5. სოფელ ჭიხარულაში სპორტული დარბაზი



სოფელ სადგერში მიწების შესყიდვა

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ სადგერში კანალიზაციის მოსაწყობად შეისყიდა პლასტმასის მიწები, ღირებულებით 5.7 ათასი ლარი³⁸. 2017 წლის 30 აგვისტოს გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესყიდული მასალები. გამოვლინდა, რომ აღნიშნული მასალები დასაწყობებულია ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტის კუთვნილ ეზოში.

სურათი №6. სოფელ სადგერში კანალიზაციის მოწყობა



პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული პროექტების დასასრულებლად მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო, მისი შესყიდვა „სოფლის

³⁸ ხელშეკრულება №335

მხარდაჭერის პროგრამით“ იგეგმებოდა მომდევნო წელს. მათივე განმარტებით, პროექტი ვერ დასრულდა, რადგან 2017 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ პროექტების დაფინანსება შეწყდა, ხოლო მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტით პროექტების მოწყობა არ დაუგეგმავს.

სოფელ სადგერში სკვერის მოწყობა

გამოვლენილი გარემოება: 2016 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შეისყიდა სოფლის გასასვლელში მდებარე ფართის შემოღობვის სამუშაოები, ღირებულებით 4.9 ათასი ლარი. სამუშაოების შესყიდვის მიზანს წარმოადგენდა შემოღობილ ტერიტორიაზე სამომავლოდ სკვერის მოწყობა.

აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შესრულების შედეგად გამოვლინდა, რომ შემოღობილ ტერიტორიაზე სკვერი მოწყობილი არ არის.

სურათი №7: სოფელ სადგერში სკვერის მოწყობა



პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული პროექტების დასასრულებლად მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო, მისი შესყიდვა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ იგეგმებოდა მომდევნო წელს. მათივე განმარტებით, პროექტი ვერ დასრულდა, რადგან 2017 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ პროექტების დაფინანსება შეწყდა, ხოლო მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტით პროექტების მოწყობა არ დაუგეგმავს და სკვერის მოწყობის პერსპექტივა ჯერჯერობით არ განიხილება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ თავისი არსით არ იყო მრავალწლიანი, შესაბამისად, მისი დაფინანსება მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღარ გაგრძელებულიყო მომდევნო წლებში. ბორჯომის მუნიციპალიტეტს პროექტების რეაბილიტაციის სამუშაოების დაგეგმვისას უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება. შესაბამისად, პროექტი არ უნდა დაგეგმილიყო იმ გათვლით, რომ მისი დასრულება მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ იქნებოდა შესაძლებელი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა პროექტის დაგეგმვისას ვერ გაითვალისწინეს საჭირო ფინანსური რესურსები.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობამ დახარჯა 23.0 ათასი ლარი, პროექტები დაუსრულებელია და მოსახლეობა შესრულებული სამუშაოებით ვერ სარგებლობს.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღწეროს დაუსრულებელი და უფუნქციო პროექტები. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა, მოიძიოს დამატებითი ფინანსური სახსრები, გონივრულ ვადებში დაასრულოს დაწყებული ობიექტების მშენებლობა და განსაზღვროს მათი გამოყენების მიმართულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროულ და ხარისხიან მიწოდებას.

3. შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია ასევე შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა. კონტროლისა და შიდა აუდიტის განყოფილების მიზანია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა; გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება; მოსალოდნელი დარღვევების, სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, რისკფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და მათი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გამოვლენილი გარემოება: ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია იურიდიული კონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახური. სამსახური შედგება 2 განყოფილებისაგან: 1. იურიდიული კონსულტირებისა და სასამართლო საქმეთა წარმოების განყოფილება. 2. კონტროლისა და შიდა აუდიტის განყოფილება. შიდა აუდიტის განყოფილება მუნიციპალიტეტის სხვა სუბიექტისგან არ არის ფუნქციურად დამოუკიდებელი, რადგან გაერთიანებულია იურიდიულ განყოფილებასთან. აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის იურიდიული კონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2015-2016 წლებში დამტკიცებული შიდა აუდიტორული ანგარიშების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

- 2015-2016 წლებში სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა. სამსახურს არ შეუფასებია შესაბამეობა თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შესაბამისად, არ განუხორციელებია შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.
- 2016 წელს სამსახურს ჩატარებული აქვს მხოლოდ გამგეობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობების შესაბამისობის აუდიტი. ჩატარებულ აუდიტებზე სამსახურის მიერ არ გაცემულა რეკომენდაციები.

ამდენად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის იურიდიული კონსულტირების, სასამართლო საქმეთა წარმოების, კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურს არ გაუცია რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. აღნიშნული მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებაში, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტურად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში.

რეკომენდაცია №10: ბორჯომის მუნიციპალიტეტმა, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება. შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

4.1. პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, შეიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.
5. ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ.
6. ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ.
13. ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის დანართის სახით.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, შემდეგი სამართლებრივი აქტების შესაბამისად:

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

4.2. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

4.2.1. მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადაუხდელი და მისაღები საიჯარო ქირის ოდენობა საურავის ჩათვლით, შეადგენს 58.4 ათას ლარს, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 65.7 ათას ლარს. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 49.2 ათას ლარს, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსათვის - 49.1 ათას ლარს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 9.2 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსათვის - 16.6 ათასი ლარით. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში (ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №9) შემცირებულია 16.6 ათასი ლარით.

4.2.2. მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

2015 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ საკირეში სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 153.9 ათასი ლარი³⁹. 2015 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს ავანსის სახით ჩაურიცხა 46.1 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულება 2015 წელს არ განხორციელებულა. შესაბამისად, 46.1 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხული უნდა იყოს ბალანსის მუხლში „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, რაც არ განხორციელებულა. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, საწყისი მუხლი შემცირებულია 46.1 ათასი ლარით.

³⁹ 2015 წლის ხელშეკრულება №465.

4.2.3. შენობა-ნაგებობები

2016 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: თავშეყრის ადგილების კეთილმოწყობა, სკვერის შემოღობვა, რიტუალების სახლის მოწყობა და სხვ., საერთო ღირებულებით - 55.5 ათასი ლარი⁴⁰. აღნიშნული სამუშაოები წარმოადგენს ორგანიზაციის არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციას და უნდა აღირიცხოს „შენობა-ნაგებობების“ მუხლში. ფინანსურ ანგარიშგებაში, ოპერაცია ნაცვლად აქტივისა, წარმოდგენილია ხარჯებში, კერძოდ „სხვა ხარჯების“ მუხლში.

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1; ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 61.2 ათასი ლარით; ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №2; ფორმა №3) „სხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 55.5 ათასი ლარით. გარდა ამისა, შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი. ასევე, დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

4.2.4. დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის აღრიცხული 46.2 ათასი ლარის⁴¹, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 321.9 ათასი ლარის ისეთი აქტივი⁴², რომლებიც არის გარდამავალი პროექტები და მათი საბოლოო მიღება არ მომხდარა საანგარიშგებო წელს. ამასთანავე, აღნიშნულ აქტივებს ერიცხება ცვეთა. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, აღრიცხულ არაფინანსურ აქტივებზე სამუშაოები არ არის დასრულებული. შესაბამისად, სამეურნეო ოპერაცია ასახული უნდა იყოს არა „შენობა-ნაგებობების“ მუხლში, არამედ „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“ და არ უნდა ერიცხებოდეს ცვეთა.

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა - ნაგებობების“ მუხლის 2016 წლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 46.2 ათასი ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 321.9 ათასი ლარით. შესაბამისად, იმავე თანხით შემცირებულადა წარმოდგენილი „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №2-1, ფორმა №5). გარდა ამისა, ცვეთის დარიცხვის გამო, არასწორადაა წარმოდგენილი „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3 და ფორმა №5).

⁴⁰ 2016 წლის ხელშეკრულებები: №316, №320, №327, №289, №331.

⁴¹ 2015 წლის ხელშეკრულება №438, №379.

⁴² 2016 წლის ხელშეკრულება №369, №338.

5. ბორჯომის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის და 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ შესაბამისი ღონისძიებები გატარებულია სხვადასხვა დარღვევა-ნაკლოვანების გამოსასწორებლად და ანგარიშში მოცემული გარემოებები მუნიციპალიტეტის მიერ შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში. კერძოდ:

- შპს „მშენებელი XXI+“-ს ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2012 წელს შესრულებული აქვს სხვადასხვა შენობის სახურავების სარებილიტაციო სამუშაოები. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 310.9 ათასი ლარი, ექსპერტიზით კი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 287.4 ათასი ლარს, ხოლო გამგეობის მიერ ანაზღაურებულია 295.5 ათასი ლარი. ამდენად, შპს „მშენებელი XXI+“-ს დაუსაბუთებლად ჩაერიცხა 8.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა დაბრუნდა ბიუჯეტში.
- 2012 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 57 შემთხვევაში განხორციელებულია 1180.9 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა ისე, რომ არ არის მოთხოვნილი და მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯები და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები. გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზი და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს თანხის ანაზღაურება ხდება „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების შესაბამისად.
- 2009 წელს ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებლად და საბანკო გარანტიის წარდგენის გარეშე, შპს „ბორჯომის კეთილმოწყობაზე“ ავანსად ჩარიცხულია 26.0 ათასი ლარი. 2010 წელს შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-ზე ხელშეკრულებაში ჩასარიცხი ავანსის პროცენტის მითითების გარეშე, ავანსად ჩარიცხულია 64.0 ათასი ლარი. 2011 წელს ი/მ „იოსებ ტალახაძეზე“ ავანსად ჩარიცხულია 85.0 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წინასწარ ანგარისწორებას არ ითვალისწინებდა. ხარვეზის გამოვლენის შემდგომ, ავანსის გაცემა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 2009-2012 წლებში გამგეობის მიერ არ მომხდარა იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლის სათანადო აღრიცხვა; არ იყო გამოყვანილი გადაუხდელი

საიჯარო ქირის ნაშთები; არ იყო დარიცხული და გამოთხოვილი მოიჯარეებზე საჯარიმო სანქციები. 14 მოიჯარის გადაუხდელი საიჯარო ქირა შეადგენდა 13.5 ათას ლარს, ხოლო ქირის დროულად ჩაურიცხაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია (საურავი) შეადგენდა 13.5 ათას ლარს. გამგეობამ მოაწესრიგა იჯარით გაცემული ქონების შემოსავლის აღრიცხვა, ყოველი თვის ბოლოს ხდება როგორც ძირითადი საიჯარო ქირის, ასევე დარიცხული საურავის ნაშთების გამოყვანა. შემდგომი რეაგირების მიზნით, შეტყობინებები ეგზავნებათ მოიჯარეებს. დავალიანების არ გადახდის (ხელშეკრულებების პირობების) შემთხვევაში, ინფორმაცია მიეწოდება მუნიციპალიტეტის გამგებელს. გატარებული ღონისძიებების შედეგად 2014-2016 წლებში იჯარით გაცემულ ქონებებზე იჯარის თანხები მთლიანად არის დაფარული.

- 2010 წელს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, ღირებულებით 167.4 ათასი ლარი, საკრებულოს თანხმობისა და მუნიციპალიტეტისათვის ალტერნატიული ფართის ფლობის გარეშე გადაცემულია სახელმწიფოსათვის. ამას გარდა, აღნიშნული ქონება 2011-2012 წლებში გამგეობის ბალანსიდან მოხსილი არ იყო და ერიცხებოდა 3.5 ათასი ლარის ცვეთა. 2014 წელს აღნიშნული შენობა მოიხსნა მუნიციპალიტეტის ბალანსიდან.
- 2012 წელს სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები, რომლის პირვანდელი ღირებულება 104.3 ათასი ლარია, არ იყო მოხსნილი ბალანსიდან და გადატანილი ბალანსის საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08). ამორტიზებული ძირითადი აქტივი მოხსნილია ბალანსიდან და გადატანილია შესაბამის საცნობარო მუხლში.
- 2012 წლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 29.9 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობები, რომლებიც ისე იყო გადაცემული სხვადასხვა ორგანიზაციებზე, რომ ხელშეკრულებები არ გაფორმებულა ქონების რაიმე ფორმით გადაცემაზე. გამოვლენილი გარემოების შემდგომ, მატერიალური ფასეულობების გადაცემა ხდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რაზეც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
- 2012 წელს მუნიციპალიტეტში არ მომხდარა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების (უძრავი და მოძრავი) ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის მიუხედავად, ინვენტარიზაციები დამთავრებული არ იყო, ასევე არ იყო შედგენილი შედარების უწყისი და გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები. გამოვლენილი გარემოების შემდგომ, ინვენტარიზაცია დასრულებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-ისგან მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 80.0 ათასი ლარის ღირებულების ნაგავმზიდი ავტომანქანა, რომლის მიწოდებაც 11 დღის დაგვიანებით მოხდა. თუმცა, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარიმო სანქცია გატარებულია მხოლოდ სამ დღეზე. 8 დღის ვადაგადაცილებაზე დაურიცხავი ჯარიმა შეადგენს 6.4 ათას ლარს. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული საკითხი გადაგზავნილია პროკურატურაში.

- 2011-2012 წლებში მიმწოდებლების მიერ ხელფასის სახით გაწეულ ხარჯზე დარიცხული და ანაზღაურებულია მასალის ტრანსპორტირების ხარჯები. შპს „არტესზე“ დარიცხულია 3.5 ათასი ლარი, შპს „რემშენი ბორჯომზე“ - 0.7 ათასი ლარი, შპს „ბორჯომი 2008“-ზე - 0.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული საკითხი გადაგზავნილია პროკურატურაში.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი

გიორგი შურღია

ხელმოწერა



თარიღი 15.01.2018

უფროსი აუდიტორი

ნატალია საღარეიშვილი

ხელმოწერა



თარიღი 15.01.2018

აუდიტორი

ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა



თარიღი 15.01.2018

აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ლალიძე

ხელმოწერა



თარიღი 15.01.2018

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE